

# საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი

რეგენზია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა და პროტოკოლების თაობაზე

**ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები)  
სინდრომი ბავშვთა ასაკში**

**ნაციონალური გაიდლაინი  
სრული ვერსია**

და

**ბავშვთა ასაკში ნეფროზული სინდრომის მართვის  
სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი)**

## **დავალების განმარტება:**

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირმა ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფთან ხელშეკრულების ფარგლებში განიხილა და მოამზადა რეცენზია ბავშვთა ასაკში ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და თანდართული პროტოკოლის თაობაზე.

კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო და პროტოკოლი შეაფასა საოჯახო მედიცინის ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც აერთიანებს თბილისსა და სხვა რეგიონებში მოქმედი საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებს მ.შ. პრაქტიკოსი ოჯახის ექიმებს.

## **I. ზოგადი კომენტარები**

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა ასაკში ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის მართვის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და პროტოკოლის შემუშავება და დანერგვა, მისი მართვისთვის სწორი მოქმედების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უდავოდ საშური საქმეა.

სახელმძღვანელო შედგენილია ქვეყნის წამყვანი სპეციალისტების მიერ და მიღებულია საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ორიგინალური სტატიების თარგმნის, სხვადასხვა გაიდლაინებისა და მონოგრაფიების შეჯერების შედეგად. იგი წარმოადგენს მაღალ დონეზე შესრულებულ დოკუმენტს, სადაც საკმარის ნათლად და კომპაქტურადაა მოცემული ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის განმარტება, მისი განვითარების პათოფიზიოლოგიური მექანიზმები, ბავშვთა ასაკში მისი გავრცელების ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგიური მიზეზები, კლინიკური სიმპტომატიკა, დავადების ტიპები და გართულებები, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, გამოკვლევების სქემები, მკურნალობის ადგილი და ხანგრძლივობა, პათოგენური მკურნალობის თანმიმდევრული სქემები, რეაბილიტაციის საკითხები.

სახელმძღვანელოში ნათლადაა წარმოდგენილი ბავშვთა ასაკში ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის დახასიათება, რაც მნიშვნელოვნად გაუიოლებს პრაქტიკოს ექიმებს, განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის ქსელში, რომლებისთვისაც ანამნეზი და ფიზიკალური მონაცემები კლინიკური გადაწყვეტილების მთავარი საფუძველია, დიფერენციულ დიაგნოსტიკას.

გაიდლაინი გვთავაზობს ბავშვთა ასაკში ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის მართვის კონკრეტულ სქემას, რაც ითვალისწინებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონის შესაძლებლობებს.

## **გაიდლაინის სტრუქტურა**

რეცენზირებული სახელმძღვანელოს სტრუქტურა შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ინფორმაცია მართვისა და მკურნალობის გზების თაობაზე, რაც გააიოლებს მის აღქმას პრაქტიკოსი ექიმების მიერ.

## **გაიდლაინის შინაარსი**

შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად. თავმოყრილია ორიგინალური სტატიების, სხვადასხვა გაიდლაინებისა და მონოგრაფიების მონაცემები, რომელთა გაცნობა გაზრდის პრაქტიკოსი ექიმების მოტივაციას შეასრულოს მითითებული რეკომენდაციები. ხშირ შემთხვევაში მითითებულია მტკიცებულებების ხარისხი.

## **შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან**

პჯდ ექიმებისთვის, რეკომენდებული ღონისძიებების განხორციელება დღეს სისტემაში არსებული რესურსის ფარგლებში, სავსებით შესაძლებელია.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელო იძლევა რეკომენდაციას პრეკოსპიტალურ დონეზე ბავშვთა ასაკში ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის მართვის შესახებ, რაც ოჯახის ექიმებს სერიოზულ ფუნქციას აკისრებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კლინიკური რეკომენდაცია წარმოადგენს ბავშვთა ასაკში ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის მართვის პრინციპებს, განხილულია მკურნალობის ძირითადი ეტაპები, გართულებები, თანამედროვე შეხედულებები, ამიტომ მის დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით.

## **პროტოკოლი**

წარმოდგენილ „ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის მართვა“ სახელმწიფო სტანდარტში (პროტოკოლი), რომელიც ემყარება აღნიშნულ ნაციონალურ გაიდლაინს, მოცემულია საკმაოდ დეტალური, მ.შ. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული ტესტებისა და სპეციალისტთა კონსულტაციების, რომელიც უნდა განხორციელდეს აღნიშნული მდგომარეობების დროს.

## **II. სპეციფიკური კომენტარები**

- აღნიშნულია, რომ ნეფროზული (მინიმალური მორფოლოგიური ცვლილებები) სინდრომის მართვა ბავშვთა ასაკში სრულდება ამბულატორიულად ან სტაციონარის პირობებში ექიმის მიერ. სასურველი იქნებოდა, ოჯახის ექიმისათვის, მისი კომპეტენციების დაზუსტების მიზნით, უფრო დეტალური რეკომენდაციების მიცემა მკურნალობის საკითხებზე დაავადების მიმდინარეობის ფორმის (პირველი ეპიზოდი, რეციდივი) გათვალისწინებით, მკურნალობის მიზნებიდან (კორტიკოსტეროიდული, ციტოტოქსიური, იმუნომოდულაციური, სიმპტომური) გამომდინარე და სპეციალისტან/სტაციონარში რეფერალის კრიტერიუმების ხაზგასმა, აგრეთვე, პაციენტზე მონიტორინგის დაწესების სპეციფიურ დეტალებზე ყურადღების გამახვილება.

## **რედაქციული ხასიათის შენიშვნები:**

საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე მიზანშეწონილია გაიდლაინის ტექსტური რედაქტირება.

## **დასკვნა:**

რეცენზირებული სახელმძღვანელო, მისი ამომწურავი შინაარსისა და პირველადი ჯანდაცვის ექიმების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით, დადებითად უნდა შეფასდეს.